# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

## ოქმი №10

28.03.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

10:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

**გარემოს დაცვის კომისიის წევრები:** ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), თარაშ შურღაია, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, გიორგი დოხტურიშვილი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **დავით უჯმაჯურიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ჯაბა ჯიშკარიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ვახტანგ შაქარიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **ლილე ლიპარტელიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გვანცა ნიკოლაიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
2. **ეკა ცეცხლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

მერის 2017 წლის 6 ნოემბრის №12-031731011-03 წერილის მე-14, მე-16 და მე-17 წინადადებები) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 10 ნოემბრის №12-03173149-03 წერილის მე-6 წინადადება) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური/

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

**მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 6 ნოემბრის №12-031731011-03 წერილის მე-14, მე-16 და მე-17 წინადადებები)

საკითხის განხილვამდე, სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ კომისიის 2017 წლის 22 და 26 დეკემბრის სხდომებზე (ოქმი №5 და ოქმი №6) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით, ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე, გადადებული იქნა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების პროექტის (წერილი №12-031731011-03 10.11.2017წ.) განმარტებითი ბარათის მე-14, მე-16 და მე-17 წინადადებები (სულ: 3 საკითხი).

კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, აღნიშნული წინადადებები პუნქტობრივად იქნა განხილული.

**სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული პირველი საკითხი** წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

1) მე-14 საკითხი (წინადადება) - **ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, შატბერაშვილის ქუჩა №50-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.065.075) (266 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 3-ს შორის კონტურის დაზუსტების (სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 3-ით ცვლილების) შესახებ (განმცხადებელი: ჯ. აფციაური).**

მომხსენებლის, ქ-ნი ე. ცეცხლაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, შატბერაშვილის ქუჩა №50-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.065.075) (266 კვ.მ.) ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1, რომელიც ნაწილობრივ შეჭრილია განმცხადებლის (ჯ. აფციაური) საკუთრებაში არსებულ, №01.14.11.065.075 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. დაინტერესებული პირი ითხოვს მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილსა და მის მიმდებარედ (მთლიანი ფართობით: 266 კვ.მ.) არსებული ფუნქციური ზონის (სატრანსპორტო ზონა 1) ცვლილებას საცხოვრებელი ზონა 3-ით.

**შეკითხვა დასვა:**

**ბ-ნმა რ. სოხაძემ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი და ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე),** რომელიც დაინტერესდა, თუ რა პოზიცია გააჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, შატბერაშვილის ქუჩა №50-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.065.075) არსებული ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძის) განმარტებით, დაინტერესებული პირის (განმცხადებელი: ჯ. აფციაური) საკუთრებაში არსებულ №01.14.11.065.075 საკადასტრო მიწის ნაკვეთის წითელი ხაზები გასასწორებელია და ნამდვილად ფიქსირდება ხარვეზი, კერძოდ, ტერიტორიის წითელ ხაზებში შეჭრილია სატრანსპორტო ზონა 1. თუმცა, განმცხადებელს დამატებით სურს, საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზეც განხორციელდეს ფუნქციური ზონის ცვლილება. დაინტერესებულ პირს შესთავაზეს, ფუნქციური ზონის ცვლილება (კორექტირება) განხორციელებულიყო მხოლოდ მის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის წითელ ხაზებში, მაგრამ მან უარი

განაცხადა. ხოლო აღნიშნული სახით ფუნქციური ზონის ცვლილება საქალაქო სამსახურს მიზანშეუწონლად მიაჩნია, რადგან №01.14.11.065.075 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის (სატრანსპორტო ზონა 1) ცვლილება გამოიწვეს არსებული გზის შევიწროვებას, რაც მიუღებელია.

**ბ-ნმა ერ. კუხიანიძემ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის თავმჯდომარე)** მოითხოვა ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ინფორმაცია.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ უზრუნველყოფილი იქნა მოთხოვნილი ინფორმაციის მიწოდება, კერძოდ, ინტერაქტიულ რუკაზე ნაჩვენები იქნა №01.14.11.065.075 საკადასტრო მიწის ნაკვეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ფაქტობრივი მდგომარეობა, ასევე, ფუნქციური ზონის ცვლილების შემთხვევაში, კორექტირებული ფუნქციური ზონის კონტური.

**მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

**სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, შატბერაშვილის ქუჩა №50-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.065.075) (266 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 3-ს შორის კონტურის დაზუსტების (სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 3-ით ცვლილების) საკითხი.**

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

თავი შეიკავა - 2

2) მე-16 საკითხი (წინადადება) - **ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, მარუხის გმირები №1-3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.14.11.058.063, 01.14.11.058.017, 01.14.11.058.031, 01.14.11.058.072, 01.14.11.058.057, 01.14.11.058.051, 01.14.11.041.026, 01.14.11.058.058-ის ნაწილზე და მის მიმდებარედ) (5607 კვ.მ.) საცხოვრებელ ზონა 3-სა და საცხოვრებელ ზონა 5-ს შორის კონტურის დაზუსტების (საცხოვრებელი ზონა 3-ის საცხოვრებელი ზონა 5-ით ცვლილების) შესახებ (განმცხადებელი: გ. მაღალდაძე).**

მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, მარუხის გმირები №1-3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.14.11.058.063, 01.14.11.058.017, 01.14.11.058.031, 01.14.11.058.072, 01.14.11.058.057,

01.14.11.058.051, 01.14.11.041.026, 01.14.11.058.058-ის ნაწილზე და მის მიმდებარედ) (5607 კვ.მ.) ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 და ტერიტორიის ნაწილი გამოირჩევა რთული რელიეფით. ხოლო დაინტერესებული პირის (განმცხადებელი: გ. მაღალდაძე) წარმოდგენილი დასაბუთებითა და ტერიტორიის შემდგომი განვითარების პროექტით, არსებული ფუნქციური ზონის (საცხოვრებელი ზონა 3) საცხოვრებელი ზონა 5-ით ცვლილების შემთხვევაში, ზემოაღნიშნულ საკადასტრო ერთეულებზე განთავსდება მრავალსართულიანი, მრავალბინიანი კორპუსი, რაც გამოიწვევს აღნიშნული უბნის გადატვირთვასა და გაზრდის ავტოსატრანსპორტო მოძრაობის შეფერხების (მანქანების გამტარუნარიანობის) რისკს.

**შეკითხვა დასვა:**

ბ-ნმა რ. სოხაძემ, რომელიც დაინტერესდა, თუ რა პოზიცია გააჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, მარუხის გმირები №1-3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.14.11.058.063, 01.14.11.058.017, 01.14.11.058.031, 01.14.11.058.072, 01.14.11.058.057, 01.14.11.058.051, 01.14.11.041.026, 01.14.11.058.058-ის ნაწილზე და მის მიმდებარედ) (5607 კვ.მ.) არსებული ფუნქციური ცვლილების მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისთვის ცალსახად მიუღებელია არსებული ფუნქციური ზონის (საცხოვრებელი ზონა 3) საცხოვრებელი ზონა 5-ით ცვლილება.

**შეკითხვა დასვა:**

**ბ-ნმა დ. უჯმაჯურიძემ (საკრებულოს წევრი)** - საპროექტო ტერიტორიაზე არსებული საავტომობილო გზის სიგანისა და მოძრაობის ორგანიზების თაობაზე.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძის) განმარტებით, დაინტერესებული პირის (განმცხ.: გ. მაღალდაძე) წარმოდგენილ პროექტში, არსებული საავტომობილო გზის სიგანედ მითითებულია 6 მეტრი.

მოსმენილი ინფორმაციის საფუძველზე, **აზრი გამოთქვეს:** ბ-ნმა დ. უჯმაჯურიძემ, ბ-ნმა თ. შურღაიამ და ბ-ნმა რ. სოხაძემ, დაინტერესებული მხარის მიერ წარმოდგენილ პროექტში მითითებული არსებული საავტომობილო გზის სიგანის ფაქტობრივ (რეალურ) მონაცემებთან შეუსაბამობის თაობაზე.

**ბ-ნმა რ. სოხაძემ დამატებით აღნიშნა,** რომ ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, მარუხის გმირების ქუჩა არის ჩიხი და ერთადერთი დამაკავშირებელი ვიწრო გზით უერთდება მცხეთის ქუჩას.

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, მარუხის გმირები №1-3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.14.11.058.063, 01.14.11.058.017, 01.14.11.058.031, 01.14.11.058.072, 01.14.11.058.057, 01.14.11.058.051, 01.14.11.041.026, 01.14.11.058.058-ის ნაწილზე და მის მიმდებარედ) (5607 კვ.მ.) საცხოვრებელ ზონა 3-სა და საცხოვრებელ ზონა 5-ს შორის კონტურის დაზუსტების (საცხოვრებელი ზონა 3-ის საცხოვრებელი ზონა 5-ით ცვლილების) საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

თავი შეიკავა - 2

3) მე-17 საკითხი (წინადადება) - ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი დიღომი, მირიან მეფის ქუჩა №74, მირიან მეფის ქუჩა №70, მირიან მეფის ქუჩა №36-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.038.461, 01.72.14.038.516, 01.72.14.038.357, 01.72.14.038.096, 01.72.14.038.515, 01.72.14.038.096, 01.72.14.038.515, 01.72.14.038.094-ზე და მიმდებარედ) (7514 კვ.მ.) საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 3-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის კონტურის დაზუსტების (საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების) შესახებ (განმცხადებელი: ნ. კაციტაძე).

მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი დიღომი, მირიან მეფის ქუჩა №74, მირიან მეფის ქუჩა №70, მირიან მეფის ქუჩა №36-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.038.461, 01.72.14.038.516, 01.72.14.038.357, 01.72.14.038.096, 01.72.14.038.515, 01.72.14.038.096, 01.72.14.038.515, 01.72.14.038.094-ზე და მიმდებარედ) (7514 კვ.მ.) ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 და საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესის“ მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, დასაშვებია სავაჭრო ცენტრების, მოლებისა და მსგავსი მსხვილი საზოგადოებრივ-კომერციული ობიექტების მშენებლობა, შენობა-ნაგებობების 15 მეტრიანი მაქსიმალური სიმაღლით.

შეკითხვა დასვა:

**ბ-ნმა რ. სოხაძემ,** რომელიც დაინტერესდა თუ რა პოზიცია გააჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი დიღომი, მირიან მეფის ქუჩა №74, მირიან მეფის ქუჩა №70, მირიან მეფის ქუჩა №36-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.038.461, 01.72.14.038.516, 01.72.14.038.357, 01.72.14.038.096, 01.72.14.038.515, 01.72.14.038.096, 01.72.14.038.515, 01.72.14.038.094-ზე და მიმდებარედ) არსებული ფუნქციური ცვლილების მიზანშეწონილობის საკითხთან დაკავშირებით.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურისთვის მიუღებელია აღნიშნული ტერიტორიის განვითარება მაღალი ინტენსივობით და საჭიროა ერთიანი ხედვის შემუშავება.

**შეკითხვა დასვა:**

**ბ-ნმა დ. უჯმაჯურიძემ - ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, მირიან მეფის ქუჩისა** და ზოგადად, დიდი დიღმის ტერიტორიაზე არსებული მაღალი ინტესივობით განვითარების შესახებ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) განმარტებით, საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებში“ ბოლო ცვლილებების შეტანამდე შესაძლებელი იყო მაღალი ინტენსივობით ტერიტორიების, განსაკუთრებით, დიდი დიღმის ტერიტორიის განაშენიანება სპეციალური ზონალური შეთანხმების საფუძველზე .

**ქ-ნმა გ. ნიკოლაიშვილმა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული** განვითარების **საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი)** დამატებით აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე, საჭიროა შემუშავდეს ერთიანი ხედვა, ჩარჩო-გეგმა და შემდეგ, ჩარჩო-გეგმის ფარგლებში განვითარდეს მსგავსი მოცულობითი ტერიტორიები.

**აზრი გამოთქვა:**

**ბ-ნმა რ. სოხაძემ,** რომელმაც აღნიშნა, რომ დაინტერესებულ მხარეს (განმცხადებლებს) აღებული აქვს ბიზნეს-ვალდებულებები და შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ დროული გადაწყვეტილების მიღების გარეშე, პრობლემები ექმნება.

**ქ-ნმა გ. ნიკოლაიშვილმა** აღნიშნა, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ (№14-39 დადგენილება 24.05.2016წ.) შესაბამისად, ჩარჩო-გეგმის (ასევე, განაშენიანების რეგულირების გეგმის) შემუშავებამდე ფუნქციური ზონის ცვლილება მიზანშეუწონელია.

**მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის** წევრების მიერ **სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი დიღომი, მირიან მეფის ქუჩა №74, მირიან მეფის ქუჩა №70, მირიან მეფის ქუჩა №36-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.038.461, 01.72.14.038.516, 01.72.14.038.357, 01.72.14.038.096, 01.72.14.038.515, 01.72.14.038.096, 01.72.14.038.515, 01.72.14.038.094-ზე და მიმდებარედ) (7514 კვ.მ.) საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 3-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის კონტურის დაზუსტების (საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილების) საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0
წინააღმდეგი - 5
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

## გადაწყვიტეს:

1. უარი ეთქვას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 6 ნოემბრის №12-031731011-03 წერილით განსახილველად წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის:

   1) მე-14 საკითხს (წინადადებას) - ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, შატბერაშვილის ქუჩა №50-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.11.065.075) (266 კვ.მ.) სატრანსპორტო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 3-ს შორის კონტურის დაზუსტებას (სატრანსპორტო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 3-ით ცვლილებას);

   2) მე-16 საკითხს (წინადადებას) - ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, მარუხის გმირები №1-3-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.14.11.058.063, 01.14.11.058.017, 01.14.11.058.031, 01.14.11.058.072, 01.14.11.058.057, 01.14.11.058.051, 01.14.11.041.026, 01.14.11.058.058-ის ნაწილზე და მის მიმდებარედ) (5607 კვ.მ.) საცხოვრებელ ზონა 3-სა და საცხოვრებელ ზონა 5-ს შორის კონტურის დაზუსტებას (საცხოვრებელი ზონა 3-ის საცხოვრებელი ზონა 5-ით ცვლილებას).

   3) მე-17 საკითხს (წინადადებას) - ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელი დიღომი, მირიან მეფის ქუჩა №74, მირიან მეფის ქუჩა №70, მირიან მეფის ქუჩა №36-

ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.72.14.038.461, 01.72.14.038.516, 01.72.14.038.357, 01.72.14.038.096, 01.72.14.038.515, 01.72.14.038.096, 01.72.14.038.515, 01.72.14.038.094-ზე და მიმდებარედ) (7514 კვ.მ.) საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 3-სა და საზოგადოებრივ-საქმიან ზონა 2-ს შორის კონტურის დაზუსტებას (საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით ცვლილებას).

2. კომისიის გადაწყვეტილება ეცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

**მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 10 ნოემბრის №12-03173149-03 წერილის მე-6 წინადადება)

საკითხის განხილვამდე, სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ დამსწრე საზოგადოებას აცნობა, რომ კომისიის 2017 წლის 22 და 26 დეკემბრის სხდომებზე (ოქმი №5 და ოქმი №6) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით, ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანშეწონილობის თაობაზე დაზუსტებული და დასაბუთებული ინფორმაციის წარმოდგენამდე, გადადებული იქნა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (წერილი№12-03173149-03 10.11.2017წ.) განმარტებითი ბარათის მე-6 წინადადება - **ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის დასახლებაში, მიქაძის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.001.232) (574 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 6-ს შორის კონტურის** დაზუსტების (სარეკრეაციო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილების) შესახებ (განმცხადებელი: გ. ფსუტური).

**სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხი** წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის ქ-ნი ე. ცეცხლაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების საფუძველზე დადგინდა, რომ **ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის დასახლებაში, მიქაძის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო** კოდი: №01.11.10.001.232) **(574 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 6-ს** შორის **კონტურის დაზუსტების (სარეკრეაციო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით** ცვლილების) **თხოვნით (განცხადება AR1550345) მიმართა შესაბამის უფლებამოსილ** ორგანოს. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის დასახლებაში, მიქაძის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.001.232) და მის მიმდებარე ზოლზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1, რომელიც ესაზღვრება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას (სკოლა №115).

ქ-ნი ე. ცეცხლაძის დამატებითი ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული მიწის ნაკვეთი ფუნქციური ზონით - საცხოვრებელი ზონა 6, განმცხადებლების მიერ შეძენილი იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს მიერ 2015 წელს პირობით გამოცხადებულ აუქციონზე. ხოლო რამდენიმე თვის შემდეგ, იმავე, 2015 წელს, ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი ზონა 6 შეიცვალა სარეკრეაციო ზონა 1-ით. ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს ფუნქციური ზონის ცვლილებას და ტერიტორიისთვის იმ სტატუსის დაბრუნებას, რომელიც ჰქონდა შეძენის პერიოდში.

**აზრი გამოთქვა:**

**ბ-ნმა რ. სოხაძემ და** აღნიშნა, რომ როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო კომისიის თავმჯდომარე, შეხვდა დაინტერესებულ მხარეს (განმცხადებელი: გ. ფსუტური) არსებული ვითარების გარკვევისა და საკითხის გადაწყვეტის მიზნით. იმის გათვალისწინებით, რომ საკადასტრო ერთეული შეუსაბამოა სამშენებლო განვითარებისთვის და მიმდებარედ განთავსებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (სკოლა №115), ხოლო არსებული ფუნქციური ზონის (სარეკრეაციო ზონა 1) შეცვლა განმცხადებლის (გ. ფსუტური) მიერ მოთხოვნილი საცხოვრებელი ზონა 6-ით გამოიწვევს აღნიშნული სარეკრეაციო ზოლის დარღვევასა და ტერიტორიის მაღალი ინტენსივობით განვითარებას, რაც არ არის მიზანშეწონილი, დაინტერესებული მხარისთვის, როგორც კეთილსინდისიერი შემძენისთვის, შეთავაზებული იქნა ადგილმონაცვლეობის პროცედურების დაწყება, რაზეც დაინტერესებულმა მხარემ უარი განაცხადა.

**შეკითხვა დასვა:**

**ბ-ნმა თ. შურღაიამ (კომისიის წევრი)** - დაინტერესებული მხარის საკუთრებაში არსებული №01.11.10.001.232 საკადასტრო მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობის თაობაზე.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძე) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაინტერესებული მხარის საკუთრებაში არსებული №01.11.10.001.232 საკადასტრო მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობია 309 კვ.მ. და დამატებით, ფუნქციური ზონის ცვლილება მოთხოვნილია მომიჯნავე ტერიტორიის ნაწილზე.

მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის გაცნობის შემდეგ, კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის დასახლებაში, მიქაძის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.001.232) (574 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 6-ს შორის კონტურის დაზუსტების (სარეკრეაციო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილების) საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 5

თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

## გადაწყვიტეს:

1. უარი ეთქვას ქალაქ თბილისის მერის 2017 წლის 10 ნოემბრის №12-03173149-03 წერილით განსახილველად წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათის მე-6 საკითხს (წინადადებას) - ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის დასახლებაში, მიქაძის ქუჩა №17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.10.001.232) (574 კვ.მ.) სარეკრეაციო ზონა 1-სა და საცხოვრებელ ზონა 6-ს შორის კონტურის დაზუსტებას (სარეკრეაციო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილებას).
2. კომისიის გადაწყვეტილება ეცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე